პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი
22 თებერვალი,
1956 წელი.
№ 16 (926)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-12 წელი

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

# ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ღ ი უ რ ი

## 18 თებერვლის დილისა და საღამოს სხდომები

18 თებერვლის დილის სხდომაზე, რომელიც ბ. გაფუროვის თავმჯდომარეობით გაიხსნა, გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

ამხ. ი. გ. კებინმა (ესტონეთის პარტორგანიზაცია) თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ ახორციელებდა პარტიის ლენინურ გენერალურ გეზს, რომლის მიზანია მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარება და მის ბაზაზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი განვითარების უზრუნველყოფა. დიდი ყურადღება ეთმობოდა სოფლის მეურნეობას, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველაზე დაძაბულ და მწვავე უბანს.

ტრიბუნაზეა — ამხ. ენვერ ხოჯა, რომელსაც დელეგატები და სტუმრები თბილად შეხვდნენ.

— ალბანეთის შრომის პარტიამ და მთელმა ალბანელმა ხალხმა, — ამბობს იგი, — ჩვენს დელეგაციას დაავალა გადასცეს საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის XX ყრილობას და მოძმე საბჭოთა ხალხს უაღრესად მხურვალე რევოლუციური სალამი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა დიდი სკოლაა ჩვენთვის, განაცხადა ენვერ ხოჯამ.

დიდი ყურადღებით აღტაცებით მოვისმინეთ ჩვენ მოხსენება, რომელიც გააკეთა ამხ. ხრუშჩოვმა.

გამოდის ამხ. ცოი ენ გენი. ყრილობის მონაწილენი მას ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას, საბჭოთა კავშირის ყველა კომუნისტს, აგრეთვე მთელ საბჭოთა ხალხს უძღვნის მხურვალე სალამს.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ცოი ენ გენი ამბობს:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმდიდრესი გამოცდილება ძვირფასი სახელმძღვანელოა კორეის შრომის პარტიისათვის, ისევე როგორც ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს ღრმად შეისწავლის ჩვენი პარტია და ისინი შემოქმედებითს გამოხატულებას პოვებენ მთელ ჩვენს საქმიანობაში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა.

სიტყვას ამბობს ამხ. ს. დ. იგნატიევი (ბაშკირეთის პარტორგანიზაცია). ჩვენი დიადი პარტია და მთელი ხალხი XX ყრილობაზე მოვიდნენ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმულნი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, რომლებიც მტკიცედ წარმართავენ ხალხის ყურადღებასა და ძალებს ახალ წარმატებათა მისაღწევად ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ლენინურად პატიოსან და გაბედულ, უაღრესად პრინციპულ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ახორციელებენ, ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი. ეს პოლიტიკა ყველა ქვეყნის ხალხებს უჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის შეუდრეკელი და უანგარო მებრძოლია.

მეხუთე ხუთწლედში მრეწველობის მთლიანი პროდუქცია რესპუბლიკაში ერთიორად და მეტად გადიდდა. ნავთობის ამოღების დონის მხრივ ბაშკირეთი 1955 წელს პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირში. მეექვსე ხუთწლედში ნავთობის ამოღება აქ წარსულ ხუთწლედთან შედარებით 2,2-ჯერ გადიდდება.

ტრიბუნაზეა ამხ. გ. კ. ჟუკოვი (მოსკოვის პარტორგანიზაცია).

შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ამბობს იგი, XX ყრილობაზე მოვიდა მჭიდროდ დარაზმული თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო. საბჭოთა მეომრები თავიანთი ხალხის უსაზღვროდ ერთგული არიან და მუდამ მზად არიან პატიოსნად და ღირსეულად შეასრულონ თავიანთი მხედრული მოვალეობა — დაიცვან საყვარელი სამშობლო.

საბჭოთა კავშირი, განაგრძობს, ორატორი, არავის არ ემუქრება და არ აპირებს თავს დაესხას ვინმეს. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ შეთანხმება შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ჯერ კიდევ მიღწეული არ არის და ჯერჯერობით არ არსებობს მტკიცე მშვიდობის საიმედო გარანტიები, ჩვენ იძულებული ვართ ვიყოლიოთ ისეთი შეიარაღებული ძალები, რომლებიც შეძლებენ საიმედოდ დაიცვან ჩვენი სამშობლოს ინტერესები, რომ მტრების არავითარი პროვოკაცია ჩვენთვის მოულოდნელი არ იქნეს.

ამხ. ჟუკოვი ამბობს, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის მეოხებით ძირეულად არიან გარდაქმნილნი და ხარისხობრივად შორს წავიდნენ წინ იმ დონიდან რომელზეც ისინი დიდი სამამულო ომის დასასრულს იმყოფებოდნენ. ახლა მათ აქვთ სხვადასხვაგვარი ატომური და თერმოატომგულის იარაღი. სხვადასხვა ტიპის მძლავრი და რეაქტიული შეიარაღება, მათ შორის შორი მოქმედების რაკეტები. მათ აქვთ პირველხარისხოვანი რეაქტიული ავიაცია, რომელსაც შესწევს უნარი გადაჭრას ყოველგვარი ამოცანები, რომლებიც მის წინაშე წარმოიშობა აგრესორის თავდასხმის შემთხვევაში.

ჩვენი შეიარაღებული ძალები და ჩვენი მოკავშირეების არმიები, აცხადებს დასასრულს ამხ. ჟუკოვი, წარმოადგენენ იმ მეომრების ნამდვილ ძმურ და მეგობრულ ოჯახს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ხალხების ნათელი მომავლისათვის და მზად არიან სიცოცხლის დაუზოგავად დაიცვან თავიანთი ხალხების ინტერესები. ეს არის ჩვენი ძალა და უპირატესობა კაპიტალისტური ბანაკის შეიარაღებული ძალების წინაშე.

— ჩვენ ყველამ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, რომელშიც ზღვრული სიცხადით არის ასახული ჩვენი ქვეყნის მიღწევები, გამოხატულია უბრალო საბჭოთა ადამიანის ოცნება და მისწრაფებანი, — ამბობს ამხ. ნ. მ. კუზმინი (მოსკოვის პარტორგანიზაცია). — ჩვენს ქარხანა „წითელ პროლეტარში“, — განაგრძობს იგი, — ორი დღის წინათ გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზეც მუშებმა, ინჟინრებმა და მოსამსახურეებმა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას მადლობა უძღვნეს საბჭოთა ადამიანებზე უდიდესი ზრუნვისათვის. მე წილად მხვდა დიდი ბედნიერება — ყრილობის ტრიბუნიდან გადმოგცეთ ეს მადლობა.

ამხ. ზ. ტ. სერდიუკი (მოლდავეთის პარტორგანიზაცია) ამბობს, რომ საანგარიშო პერიოდში განმტკიცდა კომუნისტური პარტიის ერთიანობა, გაიზარდა ცენტრალური კომიტეტის როგორც ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს კოლექტიური ხელმძღვანელის მაორგანიზებელი როლი. ცენტრალური კომიტეტი ყოველდღიურად წარმართავდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას და დიდ დახმარებას უწევდა მათ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრაში, რამაც ხელი შეუწყო პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის აქტივობის გადიდებას.

ამხ. ს. ა. თოვმასიანმა (სომხეთის პარტორგანიზაცია) თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხი კანონიერი სიამაყის გრძნობით იწონებს ბრძოლაში ნაცადი თავისი ავანგარდის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის საქმიანობასა და გენერალურ გეზს.

პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელმა განხორციელებამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვამ ეროვნული რესპუბლიკებისათვის და მათდამი ყოველდღიურმა დახმარებამ, განაგრძობს ორატორი, უზრუნველყო მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის ზრდის მაღალი ტემპები.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის საღამოს სხდომა გაიხსნა ამხ. ფ. რ. კოზლოვის თავმჯდომარეობით. სიტყვა ეძლევა ამხ. ო. ვ. კუუსინენს (კარელია-ფინეთის პარტორგანიზაცია). ამხ. კუუსინენი ლაპარაკობს საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრულ ბრძოლაზე საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ჩიუნგ ტინი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. იგი აქვეყნებს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი, ხელმოწერილს პარტიის თავმჯდომარის ამხანაგ ხო ში მინის მიერ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის სახელით გამოდის ამხ. ჰ. პოლიტი, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. იგი ამბობს, რომ მოხარულია გადასცეს მისალმება იმასთან დაკავშირებით, რომ ყრილობა აღნიშნავს სოციალიზმის დიდებულ მიღწევებსა და კიდევ უფრო დიდ მიზნებს, რომლებსაც კომუნიზმისაკენ მიმავალი საბჭოთა ხალხი ისახავს.

შემდეგ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის სახელზე მიღებული ამხ. ტიტოს მისასალმებელი წერილი იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირისაგან.

## 20 თებერვლის დილისა და საღამოს სხდომები

20 თებერვლის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. მ. ა. იასნოვის თავმჯდომარეობით. ყრილობა განაგრძობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვას.

პირველი გამოვიდა ამხ. ი. დ. მუსტაფაევი (აზერბაიჯანის პარტორგანიზაცია). საანგარიშო პერიოდში, ამბობს იგი, ცენტრალური კომიტეტი გაბედულად აყენებდა და შემოქმედებითად წყვეტდა ჩვენი სამშობლოს შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარების სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საკითხებს. საბჭოთა კავშირი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული სახელმწიფო. მნიშვნელოვნად განმტკიცდა საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის საერთაშორისო მდგომარეობა.

შემდეგ ამხ. მუსტაფაევი ლაპარაკობს პარტიის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკაზე, აზერბაიჯანის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაზე. უკანასკნელ ორ წელიწადში რესპუბლიკაში გამოვლინებულია ნავთობისა და გაზის ახალი, მდიდარი საბადოები. რესპუბლიკის ნავთობის მუშაკები პირობას იძლევიან ვადამდე შეასრულონ თხევადი საწვავის ამოღების გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედის შესახებ დირექტივების პროექტით.

ინდონეზიის კომუნისტური პარტიის სალამი ყრილობას გადასცა ამხ. დ. ნ. აიდიტმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მიზნების ერთიანობამ და კაცობრიობის მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ერთობლივმა ბრძოლამ, ამბობს ამხ. აიდიტი, დააახლოვა ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხები. ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ინდონეზიელი მუშების, გლეხების, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის ათასობით წერილი თხოვნით მათი სახელით სალამი გადავცე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

# ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ღ ი უ რ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 20 თებერვლის დილისა და საღამოს სხდომები

(დასასრული)

ყრილობასა და საბჭოთა კავშირის ხალხებს.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **ი. ცედენბალი**, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხ. **კ. ე. ვოროშილოვმა.**

ამხ. **ზ. ი. მურატოვი** (თათრეთის პარტორგანიზაცია) ლაპარაკობს იმ უდიდეს მუშაობაზე, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა შეასრულა პარტიის მაორგანიზებელი და ხელმძღვანელი როლის შემდგომი გაძლიერებისათვის, მისი რიგების ერთიანობისა და დარაზმულობის განმტკიცებისათვის.

ამხ. მურატოვი თავის სიტყვაში მთავარ ყურადღებას აქცევს ნავთობის მრეწველობის განვითარებას. ახალ ხუთწლედში, ამბობს ორატორი, ჩვენს ქვეყანაში ნავთობის ამოღების მატების თითქმის ნახევარი თათრეთმა უნდა მოგვცეს. პარტიული ორგანიზაცია, რესპუბლიკის ნავთობის მუშაკები ყოველივეს გააკეთებენ, რათა წარმატებით შეასრულონ ეს პასუხსაგები დავალება.

დაღისტნის პარტორგანიზაციის სახელით გამოვიდა ამხ. **ა. დ. დანიალოვი.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია ერთსულოვნად იწონებენ მეექვსე ხუთწლედის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს.

შემდეგ ამხ. დანიალოვმა ილაპარაკა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საკითხებზე.

ორატორმა მხარი დაუჭირა საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ხრუშჩოვის წინადადებას რუსეთის ფედერაციაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დაარსების შესახებ და განაცხადა, რომ მისი შექმნა ხელს შეუწყობს ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების რესურსებისა და შესაძლებლობათა უსწრაფესად და უკეთ რეალიზაციას.

საბჭოთა ლიტერატურის პრობლემებს მიუძღვნა თავისი სიტყვა ამხ. **მ. ა. შოლოხოვმა** (კამენსკის პარტორგანიზაცია).

სიტყვა ეძლევა ამხ. **ი. კ. ჟეგალინს** (სტალინგრადის პარტორგანიზაცია). იგი ლაპარაკობს სტალინგრადელთა შრომის მონაწილეობაზე მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1955 წელს 83 პროცენტით გადიდდა 1950 წელთან შედარებით. უკანასკნელ ორ წელიწადში სოფლის მეურნეობის ყველა კულტურის ნათესი ფართობი 843 ჰექტარით გადიდდა.

ორატორმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ოლქის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების რეზერვებს.

მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებაში საბჭოთა მეცნიერების მუშაობას მიუძღვნა თავისი სიტყვა აკადემიკოსმა **ი. ვ. კურჩატოვმა.** იგი ლაპარაკობს, თუ მიმდინარე ხუთწლედში როგორ გადაწყდება ყრილობის დირექტივების პროექტში ჩაწერილი ამოცანა, რომ ატომის ენერგიით მივიღოთ 2-2,5 მილიონი კილოვატი ელექტროენერგია. მიმდინარე ხუთწლედში დასახულია აშენდეს თვითეული 50-დან 200 ათასამდე კილოვატი სიმძლავრის 10-მდე ტიპობრივი ატომური რეაქტორი. ამჟამად მთავრდება ატომის ძრავიანი ყინულმჭრელის აგების პროექტის შედგენა. ეს ყინულმჭრელი გემებს წაიყვანს ჩრდილოეთის საზღვაო გზით ისე, რომ ორ-სამ წელიწადში არ შეივსოს სათბობის მარაგი. მიმდინარე ხუთწლედში ფართოდ უნდა გაჩაღდეს მუშაობა ატომის ძალოვანი დანადგარების დარგში არა მარტო ყინულმჭრელისათვის, არამედ აგრეთვე სხვა ხომალდებისათვის, ავიაციისა და სახმელეთო ტრანსპორტისათვის.

თეორიული მუშაობა ატომისა და ატომგულის ფიზიკაში, აღნიშნავს შემდეგ ამხ. კურჩატოვი, შესაძლებლობას იძლევა გაჩაღდეს ექსპერიმენტული მუშაობა სამართავი თერმოატომგულის რეაქციების განხორციელებისათვის.

ფინეთის კომუნისტური პარტიისა და მშრომელთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ა. აალტონენმა,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. ფინელ ხალხში, ამბობს იგი, ფართოდ გავრცელდა რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების საიმედო გარანტიაა მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობდა **მ. ა. სუსლოვი.** პირველი გამოვიდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ **ა. ნ. შელეპინი.** მან ილაპარაკა პარტიის XX ყრილობის უდიდეს მნიშვნელობაზე საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე. კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა, ამბობს ამხ. შელეპინი, პირობას აძლევენ ყრილობას, რომ თავიანთ ძალებს, ცოდნას, ენერგიას მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი საქმის ერთგულ სამსახურს.

ლაპარაკობს რა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობაზე, ამხ. შელეპინი აღნიშნავს ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება განზრახული აქვს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ახალგაზრდობის აღზრდის საქმის გაუმჯობესებისათვის, ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის აღმავლობისათვის.

ტრიბუნაზეა ამხ. **დ. იბარური,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან. იგი XX ყრილობას გადასცემს ესპანეთის კომუნისტური პარტიის სახელით ძმურ გულითად სალამს.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესრულება, ამბობს ამხ. იბარური, ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს მსოფლიო მუშათა მოძრაობას, ყველა ქვეყნის პროგრესულ მშვიდობისმოყვარე ძალებს.

ესპანელ კომუნისტთა ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი ამოცანა დემოკრატიისათვის ბრძოლაში არის მუშათა კლასის ერთიანობის მიღწევა და ეროვნული ფრონტის შექმნა.

შემდეგ გამოდის **ფ. ი. დუბკოვეცკი** (უკრაინის პარტორგანიზაცია). იგი ლაპარაკობს ჩერკასკის ოლქის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ზდობუტოკ ჟოვტნიას“ წარმატებებზე, იმაზე, რომ საჭიროა გადაისინჯოს შაქრის ჭარხლის დასამზადებელი ფასები, ლაპარაკობს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურების წესზე, იმ მოხუცი კოლმეურნეებისათვის დახმარების დაწესებაზე, რომლებმაც შრომის უნარი დაკარგეს, წინადადება შეაქვს შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზოგიერთი მოძველებული დებულება.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ა. მ. პანკრატოვას** (მოსკოვის პარტორგანიზაცია). იგი ლაპარაკობს, რომ კომუნისტები, რომლებიც იდეოლოგიურ მუშაობას ეწევიან, სრულიადაც ვერ მიყვებიან ფეხდაფეხ ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანეს მითითებებს. უნდა ვაღიაროთ სერიოზული ჩამორჩენა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში.

ამხ. **პ. ი. დორონინმა** (სმოლენსკის პარტორგანიზაცია) თქვა, რომ პარტიული მუშაკებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამხ. ხრუშჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს პარტიული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

ჩვენი მუშაობის სამართლიანმა ბოლშევიკურმა კრიტიკამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, განაცხადა ამხ. დორონინმა, ხელი შეუწყო პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესებას.

გამოდის ამხ. **ვ. კოდოვილია,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან. არგენტინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატებს გადასცემს გულითად, ძმურ სალამს.

თავმჯდომარე ამხ. **მ. ა. სუსლოვი** იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების … მო კამათში გამოვიდა 51 კაცი. პრეზიდიუმში შემოვიდა წინადადება შეწყდეს კამათი. ამ წინადადებას იღებ…

შემდეგ თავმჯდომარე იუწყება, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი საბოლოო სიტყვაზე უარს ამბობს იმის გამო, რომ ყველა ორატორი სავსებით იზიარებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ფ. რ. კოზლოვს.** მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, უზბეკეთის, ლატვიის, სვერდლოვსკის, გორკისა და როსტოვის პარტიული ორგანიზაციების სახელით მას შეაქვს წინადადება — მიღებულ იქნეს შემდეგი დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების შესახებ:

„მოისმინა და განიხილა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა ადგენს:

მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მოღვაწეობა“.

დელეგატები ერთსულოვნად აძლევენ ხმას ამ დადგენილების მიღებას. დარბაზში იფეთქებს მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან.

21 თებერვალს ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

## 21 თებერვლის დილის სხდომა

21 თებერვალს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

თავმჯდომარე — ამხ. **ი. გ. კებინი** მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ნ. ა. ბულგანინს.** დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან ამხ. ბულგანინს.

მოხსენება, რომელსაც მთელი დილის სხდომა მოუნდა, დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მთელი დარბაზი არაერთგზის გამოხატავდა მხურვალე მოწონებას.

## ს ა მ თ ა ტ უ რ ნ ი რ ი

ლენინგრადში საინტერესოდ გრძელდება სამი გროსმაისტერის მატჩ-ტურნირი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისათვის. სამი ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ტაიმანოვ-ავერბახის გადადებულ პარტიაში ბრძოლა ახალი სიმძაფრით გაჩაღდა. ტაიმანოვი, რომელსაც ზედმეტი პაიკი ჰქონდა, ცდილობდა უპირატესობის რეალიზაციას, მაგრამ ავერბახმა შეუპოვარი დაცვით 115-ე სვლაზე ყაიმს მიაღწია. ამავე დღეს მოხდა სპასკი-ტაიმანოვის პარტიის დამთავრება, რომელიც როგორც ცნობილია, შავებისათვის უკეთეს მდგომარეობაში იყო შეწყვეტილი. მეთოდური თამაშით ტაიმანოვმა შეძლო ახალგაზრდა გროსმაისტერის დამარცხება.

შეჯიბრების მეორე წრე IV ტურით დაიწყო. ერთმანეთს შეხვდნენ ავერბახი და ტაიმანოვი. თეთრებმა დებიუტში შეცდომა დაუშვეს. ამით კარგად ისარგებლა ლენინგრადელმა გროსმაისტერმა და შუა თამაშში პაიკი მოიგო, მაგრამ შემდგომ მან ვერ გამოიყენა მოგების შესაძლებლობა. ავერბახმა პოზიციის გათანაბრებით 43-ე სვლაზე მოწინააღმდეგეს ყაიმი შესთავაზა, რომელიც მიღებულ იქნა.

საინტერესო გამოდგა ავერბახ-სპასკის III ტურიდან გადადებული პარტიის დამთავრება. სპასკიმ, რომელსაც მატერიალური დანაკლისი ჰქონდა, შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ შეხვედრა 71-ე სვლაზე ყაიმით დაამთავრა.

V ტურის ტაიმანოვ-სპასკის პარტია დაძაბული ბრძოლის შემდეგ რთულ მდგომარეობაში გადადებული.

ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ ტაიმანოვს აქვს 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ავერბახს — 1,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

«ლ ე ლ ო»
მე-2 გვ. № 16 (926)

## საქართველოს პროფსაბჭოში

პროფკავშირების სპორტულ ორგანიზაციებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებში მძლეოსნობის შემდგომი განვითარების, სასწავლო-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოაწყოს მძლეოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფაბრიკა-ქარხნების, წარმოება-დაწესებულებების ფიზკულტურელები.

მძლეოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრება ადგილებზე ჩატარდება 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე, საოლქო შეჯიბრებები მოეწყობა 5-7 აგვისტოს, ხოლო ფინალური შეჯიბრებები გაიმართება 26-28 აგვისტოს თბილისში.

მძლეოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა დაევალათ პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სპორტულ საზოგადოებებს …

ფიზკულტურული კოლექტივი, რომელიც გამარჯვებული გამოვა შეჯიბრებაში, დაჯილდოვდება გარდამავალი თასით და საქართველოს პროფსაბჭოს სიგელით. მძლეოსანთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში I და II ადგილზე გამოსულ გუნდებს უფლება მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართება მოსკოვში მიმდინარე წლის 8-13 სექტემბერს.

# ისტორიული თარიღი

ხვალ მთელი საბჭოთა ხალხი, მისი შეიარაღებული ძალები ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. 38 წლის წინათ, 1918 წლის 23 თებერვალს საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს — ნარვისა და პსკოვის მისადგომებთან მუშათა და გლეხთა მცირერიცხოვანმა, არასაკმაოდ შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს გერმანელ იმპერიალისტთა კარგად შეიარაღებული ჯარები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის შემდგომ ბრძოლებში ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა მრავალგზის დაუდასტურეს მსოფლიოს თავისი უძლეველობა. სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, როცა შესაძლებელი გახდა საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომაზე გადასვლა, პარტიის ერთ-ერთი მთავარი ზრუნვა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემდგომი შეუნელებელი განმტკიცება იყო. ჩვენი არმია განსაკუთრებით გაძლიერდა ინდუსტრიალიზაციის წლებში, როცა იგი აღიჭურვა ახალი საბრძოლო ტექნიკით.

1941 წელს, როცა თავით ფეხამდე იარაღასხმული ფაშისტური გერმანიის ჯარები ვერაგულად თავს დაესხნენ საბჭოთა ქვეყანას, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს. როგორც თავდაცვითი ოპერაციების დროს, ისე შემდგომში შეტევითი ოპერაციების ჩატარებისას საბჭოთა მეომრებმა დაამტკიცეს, რომ არ არის არავითარი ძალა, რომელსაც შეეძლოს საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დამარცხება.

ომისშემდგომ წლებში, როცა საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შრომას შეუდგა, როცა ფერფლიდან აღდგნენ ჩვენი ქვეყნის ქალაქები და რაიონები, უფრო ბედნიერი, საამური გახდა ჩვენი ხალხის ცხოვრება. საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებას, საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიცხვი 640 ათასი კაცით შეამცირა. შემცირდება აგრეთვე 1956 წლის სამხედრო ხარჯები 10 მილიარდი მანეთით, გამოყვანილია ჯარები პორტ-არტურისა და პორკალა-უდის სამხედრო ბაზებიდან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. გ. კ. ჟუკოვმა აღნიშნა — „საბჭოთა შეიარაღებული ძალები ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის მეოხებით ძირეულად არიან გარდაქმნილი და ხარისხობრივად შორს წავიდნენ წინ იმ დონიდან, რომელზეც ისინი დიდი სამამულო ომის დასასრულს იმყოფებოდნენ. ახლა მათ აქვთ სხვადასხვაგვარი ატომური და თერმობირთვული იარაღი, სხვადასხვა ტიპის მძლავრი რაკეტის და რეაქტიული შეიარაღება, მათ შორის შორი მოქმედების რაკეტები. მათ აქვთ პირველხარისხოვანი რეაქტიული ავიაცია, რომელსაც შესწევს უნარი გადაჭრას ყოველგვარი ამოცანები, რომლებიც მის წინაშე წარმოიშობა აგრესორის თავდასხმის შემთხვევაში“...

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან პარტიისა და მთავრობის მშობლიური მზრუნველობით, ენერგიის დაუზოგავად იღვწიან დედასამშობლოს ეკონომიურად კიდევ უფრო გაძლიერებისათვის, დიდ სიყვარულს იჩენენ საბჭოთა შეიარაღებული ძალებისადმი, რომლებიც საიმედოდ დარაჯობენ მათ შრომას, მზად არიან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ იმპერიალისტთა ყოველ ცდას — ხელყონ სოციალისტური სახელმწიფოს მშვიდობიანი ცხოვრება.

# მოტორბოლა თოვლზე



ყოველ ზამთარს ბაკურიანში ათასობით სპორტის მოყვარული ჩადის. ბევრ მათგანს ულამაზეს თოვლიან ფერდობებზე დასვენების საკმაო ხნის სტაჟი აქვს. მაგრამ არც ერთ გამოცდილ „ბაკურიანელს“ არ უნახავს ის, რაც ამ რამდენიმე ხნის წინ მოხდა აქ. გადათეთრებულ ფაფუკ „სარბიელზე“ რამდენიმე საათის განმავლობაში ისმოდა მოტოციკლების გამაყრუებელი გუგუნი...

დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის ინიციატივით ბაკურიანში მოეწყო ზამთრის მოტოკროსი. ეს ღონისძიება პირველი იყო და რთულ, სპორტსმენებისათვის შეუჩვეველ პირობებში მოქმედება მოითხოვდა მანქანის მართვის მეტად მაღალ ტექნიკას, სისწრაფეს და კარგ ფიზიკურ მომზადებას.

კროსის დისტანციად არჩეულ იქნა სამკილომეტრიანი წრე, რომელიც სპორტსმენებს 15-ჯერ უნდა შემოევლოთ. სტარტის შემდეგ (სოფსაბჭოს პირდაპირ) მოტოციკლისტებს უნდა გაეხვიათ მარჯვნივ „დინამოს“ სათხილამურო ბაზისაკენ, შემდეგ პარკის გავლით ისინი ეშვებოდნენ მთის ქუჩაზე და უხვევდნენ სადგურისაკენ და უკან.

სტარტი პირველად 350 კბ. სმ. კლასის მოტოციკლისტებმა აიღეს. პირველივე წრის შემდეგ დაწინაურდა ბურევესტნიკელი ა. გუნია, რომელიც რბოლას ჩაუდგა სათავეში. მას კვალდაკვალ მიჰყვებოდა დოსააფის წარმომადგენელი თ. ჩხაიძე. სპორტსმენებმა ასეთი თანმიმდევრობით გაიარეს 7 წრე.

მაგრამ გამარჯვებისათვის მხოლოდ სისწრაფე და გამბედაობა არ კმარა. ასეთ ძნელ შეჯიბრებას დაამთავრებს ის, ვინც პირველ რიგში ფიზიკურად კარგადაა მომზადებული. გუნია მერვე წრეზე დაიღალა, ამას დაემატა მანქანის ერთ-ერთი ნაწილის დაზიანება და ამიტომ იგი „ჩამოვიდა“ დისტანციიდან. პირველ ადგილზე ჩხაიძემ გადაინაცვლა, რომელმაც შემდეგ ლიდერობა არავის დაუთმო.

350 კბ. სმ. კლასის მოტოციკლებით რბენაში პირველი ადგილი წილად ხვდა თ. ჩხაიძეს — 1:14,07,0. მომდევნო ორ ადგილზეც დოსააფის წარმომადგენლები გამოვიდნენ. მეორე ადგილზე გ. შარაფიანი იყო, ხოლო მესამეზე — ს. სტეფანოვი.

საინტერესო ბრძოლა გაიმართა 125 კბ. სმ. კლასის მოტოციკლებით კროსში. აქ 14 წრეზე სულ წინ იყო „ბურევესტნიკის“ გუნდის წევრი ქ. ცალქალამანიძე. მხოლოდ უკანასკნელ — მე-15 წრეზე გადაუსწრო მას დოსააფელმა ე. გრიგორიანმა და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. გრიგორიანმა აჩვენა აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი — 1:12,31,0. მესამე ადგილზე გამოვიდა ვ. სტეფანევსკი.

უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი პირველად ჩატარდა, მოტოციკლისტთა მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა. მონაწილეებს ასეთ რთულ პირობებში საშუალო სიჩქარე საკმაოდ მაღალი ჰქონდათ — დაახლოებით 37 კილომეტრი. ტექნიკური მაჩვენებლები კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ სპორტსმენებს საკმარისი წვრთნა გაევლოთ.

შეჯიბრების ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში მონაწილეობა არ მიიღეს „დინამოს“ მოტოციკლისტებმა (მწვრთნელი გ. ანდრიასოვი). „დინამოს“ მაგალითს მიბაძეს არმიელებმაც.

გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგები ჰქონდათ დოსააფის გუნდის წარმომადგენლებს.

**გ. ყაზაიშვილი**

* * *

სურათზე: მოტორბოლა ბაკურიანის ქუჩებში.

# ლაშქრობა იმიერკარპატებში

ზამთრის არდადეგების დღეებში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ესტუმრნენ მოძმე უკრაინის ახალგაზრდობას. მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივის წევრები კიევში დარჩნენ, ხოლო სპორტსმენებმა გეზი აიღეს ლვოვისაკენ და იმიერკარპატების დაბა იასენიას სამთო-სათხილამურო ტურისტულ ბაზაში დაბანაკდნენ. სტუდენტებს გადაწყვეტილი ჰქონდათ დაელაშქრათ იმიერკარპატების მთები.

რაიონის გაცნობისა და საჭურველის მოწესრიგების შემდეგ მთამსვლელები გაემართნენ მწვერვალ ბლიზნეცისაკენ. ზამთრის ლაშქრობაში მონაწილეობდნენ გ. აბაშიძე, ო. და რ. რაზმაძეები, შ. მირიანაშვილი, ლ. ბერძენიშვილი, გ. თიკანაძე, ზ. მახვილაძე და სხვები. ლაშქრობას ხელმძღვანელობდა ვ. კვაჭაძე. ლაშქრებს უნდა დაეძლიათ 200-კილომეტრიანი ტრასა. მარშრუტი გადიოდა რელიეფურად რთულ რაიონებში.

მთამსვლელებს ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში უხდებოდათ მოძრაობა, ტემპერატურა დაბალი იყო, ამასთან განუწყვეტლივ ბობოქრობდა ქარბუქი, თხილამურები ღრმად ეფლობოდა თოვლში.

მოლაშქრეებმა პირველი ღამე ბლიზნეცის დასავლეთ კალთაზე გაატარეს, აქედან ტისის ხეობაში დაეშვნენ. მდინარე დაფარული იყო ყინულის თხელი ფენით, ამიტომ გადასვლა სახიფათო იყო და დიდ დაკვირვებას მოითხოვდა.

მრავალდღიანი ლაშქრობის პერიოდში მთამსვლელებმა ბევრი მწვერვალი დაიპყრეს და მშვიდობიანად დაბრუნდნენ ტურისტულ ბაზაში. ადგილობრივმა სპორტსმენებმა მათ გულთბილი შეხვედრა გაუმართეს.



სურათზე: მოლაშქრეები მიიკვლევენ გზას.

# ჩვენი გაზეთის რეიდი

ჩვენი ქვეყნის უდიდესი ღონისძიების—ხალხთა სპარტაკიადის წელი კარგა ხანია თავის უფლებებში შევიდა. ამ დღისათვის ენერგიულად ემზადებოდნენ რესპუბლიკის ძირეული, რაიონული და საქალაქო ფიზკულტურული ორგანიზაციები. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს სპარტაკიადის I-II ეტაპები, რომლებიც არის რაიონული კომიტეტების მიერ გრანდიოზულ ღონისძიებაში წარმატებით მონაწილეობისათვის ჩატარებული მუშაობის შემოწმება.

იმის შესასწავლად, თუ როგორ მოემზადნენ ამ ღონისძიებისათვის დედაქალაქის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტები, ჩვენი გაზეთის რედაქციამ გადაწყვიტა თავის ფურცლებზე მოათავსოს რეიდის მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მნიშვნელოვანი საქმე ფერხდება

ლენინის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე მ. გეგელია კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად კაბინეტში ვნახეთ. მოსწავლეთა სპარტაკიადის ორგანიზებულად ჩატარების სამზადისში იყვნენ გართული, აზუსტებდნენ მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობას, წესრიგში მოჰყავდათ განაცხადები, ბაზების, გამარჯვებულთა ჯილდოების საკითხი. კედელს ამშვენებდა კარგად გაფორმებული აფიშის ეგზემპლარი.

— მოსწავლეთა სპარტაკიადის დამთავრება განზრახული გვაქვს 4 მარტისათვის, ერთი კვირის შემდეგ დავიწყებთ წარმოება-დაწესებულებების ფიზკულტურელთა რაიონულ სპარტაკიადას, რომლის პროგრამაშია მძლეოსნობა, ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და სროლა,— გვითხრა მ. გეგელიამ.

დავინტერესდით, როგორ ემზადებიან რაიონის ძირეული კოლექტივები ამ მასობრივი ღონისძიებისა და განსაკუთრებით რესპუბლიკურ და საკავშირო ხალხთა სპარტაკიადებისათვის. აქ ჯერ კიდევ გასული წლის აპრილში კომიტეტის სხდომაზე დაამტკიცეს სპარტაკიადისათვის მზადების კალენდარული გეგმა. დაიწყო შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები — სპარტაკიადის პირველი ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავს უძლიერესთა გამოვლინებას, მაგრამ აღნიშნული ფაქტები იმას არ ნიშნავს თითქოს რაიონის ფიზკულტურელთა მუშაობაში ყველაფერი თავის რიგზე იყოს.

თბილისის მუსიკალური ავეჯის კომბინატში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია, არა აქვთ ბაზები. ფრენბურთის, ჭადრაკისა და მაგიდის ჩოგბურთის სექციები სეზონურად მუშაობენ. ორი თვის წინათ შეძენილი შტანგა კი საწყობშია ჩაკეტილი. ძირეულ საბჭოს თავმჯდომარეს ა. კობეშავიძეს დღემდე არ შეუდგენია სამუშაო გეგმა და სექციების მუშაობის გრაფიკი. არა აქვს ფიზკულტურელთა და საზოგადოების წევრთა აღრიცხვა.

„პლასტმასის“ ქარხანაში რამდენიმე წლის წინათ სისხლსავსე ფიზკულტურული ცხოვრება ჩქეფდა. ქარხნის კანტორის წინ არსებული ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი სამუშაოდან თავისუფალ საათებში სავსე იყო მოასპარეზეებით. ფიზკულტურის ხელმძღვანელ მუშაკთა დაუდევრობისა და კომიტეტის უყურადღებობის შედეგად ყოველივე წარსულს ჩაბარდა, მოედნები გაპარტახდა, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ჩაიშალა.

სუსტად მუშაობენ აგრეთვე ავჭალის შუშის ქარხნის, ქარხანა „დაზგის“, ემალ-ჭურჭლის, ჩაის გადამწონი ფაბრიკისა და სხვათა ფიზკულტურული კოლექტივები.

რაიონში 16 საშუალო სკოლაა, მაგრამ მათი უმეტესობა სპორტული ბაზის ნაკლებობას განიცდის. მე-3 (დირექტორი მ. ბასილაშვილი), მე-7 (დირექტორი ს. ბიბილეიშვილი), მე-9 (დირექტორი ლ. შატბერაშვილი), მე-13 (დირექტორი გ. კვაჭაძე) სკოლებში არა აქვთ სპორტული დარბაზები.

როგორც ცნობილია, სპარტაკიადების პერიოდში, ღონისძიებათა ჩამტარებელ ორგანიზაციებს უსასყიდლოდ ეთმობათ ყველა ბაზა. რატომღაც ეს სათანადოდ ვერ შეიგნეს „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოში. საბჭოს თავმჯდომარე რ. ხაბალაშვილმა „ლოკომოტივის“ დარბაზი რაიონულ კომიტეტს სამი დღით დაუთმო, რაც საკმარისი არაა.

რესპუბლიკური სპარტაკიადის გახსნამდე მცირე დრო დარჩა. ლენინის რაიონის კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მოუხდებათ მთელი ძალების დაძაბვა, რომ წარმატებით გამოვიდნენ ამ შეჯიბრებაში.

**შ. ქირია,**
**ო. ივდოშვილი.**

## სპარტაკიადა დაიწყო...

გუშინ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტდარბაზში მოსწავლე ფრენბურთელთა შეჯიბრებით დაიწყო სტალინის სახელობის რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების სპარტაკიადა. ფრენბურთელთა ტურნირში მონაწილეობს გოგონათა 16 და ჭაბუკთა 18 გუნდი.

რაიონის პარტიულმა, კომკავშირულმა, ფიზკულტურულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს, რათა წარმოება-დაწესებულებების, სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები მომზადებული შეხვედროდნენ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას, გამოიჩინეს ინიციატივა სპორტული ბაზების მოსაწყობად, ინვენტარის შესაძენად, სპორტში მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელად. პარტიის რაიკომის პლენუმსა და რაიაღმასკომის სხდომაზე სპეციალურად განიხილეს რაიონული სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატარების საკითხი. ყველა ფიზკულტურულ კოლექტივს დაეგზავნა დებულება, დამზადდა აფიშები, პროგრამები.

ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა (თავმჯდომარე ა. სტეპანიანი) გაითვალისწინა რაიონის ფიზკულტურული ცხოვრების თავისებურებანი და სპარტაკიადის დებულება ისე შეადგინა, რომ ფიზკულტურულ კოლექტივებს ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობის რაც შეიძლება მეტი ინტერესი და შესაძლებლობა ჰქონდეთ. მაგალითად, წარმოება-დაწესებულებების ჯგუფში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან ორ ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში მონაწილეობს 3 მსხვილი საწარმო, ხოლო მეორე ქვეჯგუფში — შედარებით მცირერიცხოვანი ფიზკულტურული კოლექტივები.

ცნობილია, რომ შეჯიბრების ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული მსაჯთა კოლეგიების მოქნილ საქმიანობაზე. სწორედ ამიტომ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სპორტის სახეობებში მსაჯთა კოლეგიების შედგენას. მსაჯთა კოლეგიების შემადგენლობაში შევიდნენ საქმის მცოდნე, ინიციატივიანი მუშაკები. ჩატარდა თათბირები, რომლებზეც მსაჯობის ბევრი მტკივნეული საკითხი გაირკვა და დადგინდა. ერთი სიტყვით, მოამზადეს მტკიცე საფუძველი სპორტული შეჯიბრების ნორმალურად ჩატარებისათვის.

**ა. კონსტანტინოვი,**
**უ. ჭანჭალეიშვილი.**

## ჩავატაროთ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ყველა ეტაპი!

# უძლიერესნი საწყლოსნო ბილიკებზე



თბილისის „დინამოს“ ზამთრის საცურაო აუზში დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის უძლიერეს მოცურავეთა შეჯიბრება.

თბილისის 72-ე სკოლის მოსწავლე ბ. ნიკიტინმა 200 მეტრი თავისუფალი სტილით 2.13,8-ში გაცურა და 2,2 წამით გააუმჯობესა რესპუბლიკის რეკორდი, რომელიც ლავრინენკოს ეკუთვნოდა. ეს შედეგი აღემატება პირველი თანრიგის ნორმატივს.

რესპუბლიკის რეკორდი 15-16 წლის ჭაბუკებისათვის 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 5 წლის წინათ დაამყარა ავანესიანმა და უდრიდა 2.33,0-ს. ამ რეკორდზე იერიში მიიტანა თბილისელმა მოსწავლემ ლ. გიორგაძემ და მას 7,3 წამი „ჩამოაჭრა“. 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში რეკორდის მოსახსნელად ბილიკზე გამოვიდა თბილისელი სპორტსმენი ლისიკოვი. მისი დრო 1.10,7 — 0,1 წამით ჩამორჩა ძველ რესპუბლიკურ რეკორდს.

შეჯიბრებაში, რომელიც დღეს მთავრდება მონაწილეობენ თბილისის, სოხუმის, ფოთისა და ბათუმის სპორტსმენები.

ა. ბარნოვი

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: შეჯიბრების მონაწილენი სტარტზე. მოცურავე გოგონები დისტანციაზე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს 1956 წლის პირველობა ფეხბურთში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა რესპუბლიკის 1956 წლის საფეხბურთო პირველობის დებულება.

გათამაშება პირველ ჯგუფში დაიწყება 18 მარტს. ამ ჯგუფში მონაწილეობას მიიღებენ: „დინამო“ (ქუთაისი), ტ. ტ. ს.-ი (თბილისი), „დინამო“ (სოხუმი), „ლოკომოტივი“ (თბილისი), „დინამო“ (ბათუმი), „კოლმეურნე“ (ქობულეთი), „ბურევესტნიკი“ (ფოთი), „დინამო“ (გორი), „კოლმეურნე“ (მახარაძე), „მეტალურგი“ (რუსთავი), 26 კომ. სახ. რაიონის გუნდი (თბილისი), „ტორპედო“ (ქუთაისი), ახალქალაქი (ნაკრები), „დინამო“ I (თბილისი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი), ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი).

ამ ჯგუფში გათამაშება იწარმოებს ორ წრედ.

მეორე ჯგუფში, სადაც ჩარიცხულია 28 გუნდი, გათამაშება ჩატარდება ერთ წრედ.

მეორე ჯგუფის დასავლეთ ზონაში თამაშობენ: „პიშჩევიკი“ (ბორჯომი), „დინამო“ (ზუგდიდი), ხობი (ნაკრები), წულუკიძე (ნაკრები), გუდაუთა (ნაკრები), „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „შახტიორი“ (ტყიბული), „სპარტაკი“ (ცხაკაია), საჩხერე (ნაკრები), „კოლმეურნე“ (გალი), ჩოხატაური (ნაკრები), „ბურევესტნიკი“ (გაგრა), ავტოსატრანსპორტო კანტორის გუნდი (ბათუმი). აღმოსავლეთ ზონაში თამაშობენ: „სპარტაკი“ (სტალინირი), „სპარტაკი“ (თელავი), გურჯაანი (ნაკრები), „სტროიტელი“ (რუსთავი), „კოლმეურნე“ (გურჯაანი), ყვარელი (ნაკრები), „კოლმეურნე“ (ადიგენი), ქარელი (ნაკრები), „სტროიტელი“ (კასპი), ბოლნისი (ნაკრები), ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა (თბილისი), „ლოკომოტივი“ (ხაშური), „შრომითი რეზერვები“ (თბილისი), „ბურევესტნიკი“ (რუსთავი). გათამაშება მეორე ჯგუფში დაიწყება 22 აპრილს.

მესამე ჯგუფში დაიშვებიან რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გუნდები, რომლებიც მოისურვებენ გათამაშებაში მონაწილეობის მიღებას და აგრეთვე წითელწყაროსა და ზესტაფონის გუნდები, რომლებმაც გასულ წელს მეორე ჯგუფში დაიკავეს ბოლო ადგილი. მესამე ჯგუფში გათამაშება იწარმოებს გამოთიშვითი სისტემით ე. ი. წაგებული გუნდი შეჯიბრებიდან გამოდის.

გათამაშების ჩათვლითი სისტემა იგივეა, რაც შარშან. თუ ორ ან მეტ გუნდს აღმოაჩნდა ქულათა თანაბარი რაოდენობა რესპუბლიკის ჩემპიონის გამოსავლინებლად მათ შორის დაინიშნება დამატებითი შეხვედრა. პირველ ჯგუფში ბოლო ოთხ ადგილებზე გამოსული გუნდები გადაყვანილ იქნებიან მეორე ჯგუფში, ხოლო მეორე ჯგუფის ზონებში პირველ ადგილებზე გამოსული გუნდები მომავალ წელს ითამაშებენ პირველ ჯგუფში. ზონებში ბოლო ორ ადგილებზე გამოსულნი გადაყვანილ იქნებიან მესამე ჯგუფში. მათ ადგილებს დაიკავებენ გუნდები, რომლებიც მესამე ჯგუფის ზონებში დაიკავებენ პირველ ადგილებს.

წლევანდელ გათამაშებაში შეტანილია ცვლილება. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავისა და გორის ჩემპიონები ორ გადასასვლელ მატჩში შეხვდებიან თავისი ქალაქის იმ გუნდს, რომელმაც რესპუბლიკურ გათამაშებებში დაიკავეს დაბალი ადგილი და გამარჯვების შემთხვევაში დაიკავებენ მათ ადგილს. თუ გამარჯვებული არ გამოვლინდა ერთი დღის დასვენების შემდეგ ინიშნება დამატებითი თამაში, რომელიც ჩატარდება ჩემპიონის მოედანზე.

გუნდის განაცხადში 20 კაციდან 12 არ უნდა იყოს 26 წლისაზე მეტი. გუნდების მწვრთნელებს თამაშებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ.

წლევანდელი გათამაშება ხანგრძლივი და რთულია. იგი ფეხბურთელების, მწვრთნელების, მსაჯებისაგან მოითხოვს დაუღალავ მუშაობას, სისტემატურ ვარჯიშს და პასუხისმგებლობას, რათა ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა ოსტატობის დონე კიდევ უფრო ამაღლდეს.

## ორი ჩემპიონი

ხარკოვში დამთავრდა „პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც მიმდინარეობდა „კრასნოე ზნამიას“ ფიზკულტურის სასახლეში.

ოთხდღიანი ბრძოლის შემდეგ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს ნაკრები გუნდი, II ადგილი მოიპოვა უკრაინის გუნდმა, ხოლო III ადგილი წილად ხვდა ბელორუსიის მოჭიდავეთა კოლექტივს. საქართველოს გუნდიდან „პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ი. ძებისაშვილმა (უმძიმესი წონა) და ე. თვალჭრელიძემ (მსუბუქი წონა). მეორე ადგილზე გამოვიდნენ გ. ყიფშიძე (ქვემსუბუქი წონა) და ე. გორიუნოვი (ქვემძიმე წონა). მესამე ადგილები მოიპოვეს: ო. ჯინჯიხაშვილმა (ქვესაშუალო წონა) და მ. მესხმა (საშუალო წონა), გ. ჭითავამ (მძიმე წონა).

ს. გოგორიშვილი

## ა. ალიოხინის ხსოვნის აღსანიშნავად

მიმდინარე წელს სრულდება გენიალური რუსი მოჭადრაკის, მსოფლიო ჩემპიონის ალექსანდრე ალიოხინის (1892-1946 წ. წ.) გარდაცვალებიდან 10 წლისთავი. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტი ოქტომბერში, გამოჩენილი მოჭადრაკის ხსოვნის აღსანიშნავად მოსკოვში მართავს საერთაშორისო ტურნირს.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად პერსონალურად მოწვეული არიან მსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი, საბჭოთა გროსმაისტერები პ. კერესი, დ. ბრონშტეინი, ვ. სმისლოვი, ამერიკელი გროსმაისტერი ს. რეშევსკი, უნგრელი გროსმაისტერი ლ. საბო, შვედი გროსმაისტერი გ. შტალბერგი, აგრეთვე არგენტინის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერალური და დემოკრატიული რესპუბლიკების უძლიერესი მოჭადრაკეები. საბჭოთა კავშირიდან დაიშვება აგრეთვე ი. ავერბახი, ბ. სპასკისა და მ. ტაიმანოვის მატჩ-ტურნირში პირველ ადგილზე გამოსული გროსმაისტერი.

## ქრონიკა

კვირას, 26 თებერვალს, საღამოს 7 საათზე ბავშვთა კულტურული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი აწყობს ს. მთვარაძის მოთხრობა „ფალავანის“ საჯარო განხილვას.

## „თეთრი ოლიმპიადის“ გმირებ[ი]

### საზღვარგარეთული პრესის მიმოხილვა

...კორტინა დამპეცოს „ყინულოვან სტადიონზე“ ოლიმპიური ჰიმნის ქვეშ დაუშვეს დროშა ხუთი გადაჭდობილი რგოლით. საღამოს თეთრად გადაქათქათებული ქალაქი იწვოდა ილუმინაციისაგან, ჰაერში ატყორცნილი შუშხუნები სივრცეში სკდებოდნენ და ცეცხლოვან ნიაღვრებად იფრქვეოდნენ ქვევით.

ზამთრის VII ოლიმპიური თამაშები დამთავრდა. რამდენიმე დღის მანძილზე ეს ულამაზესი იტალიური ქალაქი მთელი სპორტული მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო, აქ მიმდინარეობდა შეჯიბრებები ზამთრის სახეობებში, სადაც მონაწილეობდა 32 სახელმწიფოს 1445 წარმომადგენელი. აქ ყინულოვანი სტადიონის ჰოკეის მოედანზე, მიზურინის ტბის შესანიშნავ ყინულზე, კორტინას წარმტაც მიდამოებში, ახალთახალ ტრამპლინზე „იტალია“ გამოდიოდნენ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები, აქ მოიყარეს თავი მრავალი ქვეყნის ტურისტებმა, რომლებიც უძლიერესთა ოსტატობის მოწმენი იყვნენ.

საზღვარგარეთული სპორტული პრესა ოლიმპიადის დღეებში დიდ ადგილს უთმობდა თამაშებს. უცხოეთის გაზეთების საერთო აზრით ეს იყო უშესანიშნავესი ოლიმპიური თამაშები. ურთიერთმეგობრობის, მშვიდობისა და კეთილმეზობლობის ის იდეა, რომელიც ოდესღაც ძველ საბერძნეთში წარმოიშვა, სრული ძალით ამეტყველდა განვლილ ასპარეზობაზე.

გაზეთები ერთხმად აღიარებენ, რომ ოლიმპიადის წარმატებით ჩატარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის წარგზავნილთა მონაწილეობას. ჩვენი ჰოკეისტები, მოთხილამურეები, მოციგურეები პირველად მონაწილეობდნენ ოლიმპიურ თამაშებში და თავისი დებიუტი ასე ბრწყინვალედ დაამთავრეს. საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმეორეს ჰელსინკის ამბავი, როცა მათი პირველი გამოსვლა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში სენსაციური იყო. იტალიური გაზეთის განცხადებით საბჭოთა სპორტსმენები „თეთრი ოლიმპიადის“ გმირები არიან.

ამერიკული გაზეთები საბჭოთა დელეგაციის გამოსვლას ყურადღების ცენტრში აქცევენ. ისინი აღნიშნავენ საბჭოთა სპორტსმენების მ[...] ოსტატობას, მათს თავაზიანობას [...] მეგობრულ დამოკიდებულებას [...] ქვეყნების წარმომადგენელთა [...] მიმართ. „დეილი უორკერმა“ და[...] ტრამპლინიდან მხტომელი სპ[...] სმენის დევლინის განცხადება: ჯერ არ შევხვედრივარ რუს სპ[...] სმენს, რომელსაც ჩვენს მიმართ[...] გამოეჩინოს თავაზიანობა და [...] ვისცემა“.

კანადის გაზეთები, რა თქმა [...] და, ყველაზე უფრო საბჭოთა ჰ[...] ისტთა გუნდით არიან დაინტე[...] ბული. კანადური პრესის სპორ[...] მიმომხილველის ცნობაში ნათქ[...] რომ საბჭოთა ჰოკეისტებმა და[...] ცხეს კანადის მოყვარულთა ყვ[...] ზე უკეთესი გუნდი. კანადის სპ[...] ტულ მიმომხილველებს მიაჩნ[...] წერია ცნობაში, რომ მსოფლ[...] ოლიმპიური თამაშების ახალ ჩ[...] ონს შეუძლია „შეეჯიბროს კანა[...] რომელიც არ უნდა იყოს, გუნდ[...]

ინგლისური გაზეთების აზ[...] რომ საბჭოთა სპორტსმენებს ზ[...] რის სახეობათა კომპლექსურ [...] ვლაში ტოლი არა ჰყავთ მ[...] მსოფლიოში. რეიტერის სააგ[...] სპორტული მიმომხილველი მო[...] ნი აღნიშნავდა, რომ „რამდე[...] წლის შემდეგ, შესაძლებელია, [...] დეგ ოლიმპიურ თამაშებზე, რო[...] ლიც 1960 წელს ჩატარდება კ[...] ფორნიაში, როცა რუსები ასე[...] სრულყოფილი გახდებიან სა[...] სათხილამურო სახეობაში, [...] თითქმის დაუმარცხებელნი [...] ბიან“: მორიგანი განსაკუთრებით [...] უსვამს საბჭოთა სპორტსმენთა [...] დაჭერილ საქციელს, რომ „რუს[...] საქციელი მიბაძვის ღირსია“.

ჰოლანდიური გაზეთების ყურა[...] ბას განსაკუთრებით იპყრობდა [...] გურები. „ჰეტ პაროლი“ აღნიშ[...] რომ სკანდინაველები ყოველ[...] დიდი სკეპტიციზმით უყურებ[...] ალმა-ატის საციგურაო შედე[...] მაგრამ ის, რაც ნაჩვენები იყო [...] მიზურინის ტბაზე, ფენომენალური [...] ჭეშმარიტია.

VII ოლიმპიური თამაშების მ[...] ხილვისას გაზეთების დიდი უ[...] ლესობა გამოთქვამს აზრს, [...] კორტინაში გამეფებული იყო მ[...] დობისა და ურთიერთგაგების [...] გრძნობა.

## შიდასასკოლო შეჯიბრება

ცაგერის რაიონის კულტურის [...] ლში ორ დღეს გრძელდებოდ[...] შუალო სკოლის მოსწავლეთა შეჯ[...] რება კრივში.

კარგი მომზადება გამოამჟღ[...] მანდარიამ, სალინაძემ, ჯაფ[...] და მდივანმა. მათ პირველი ა[...] ლები მოიპოვეს.

გ. ხმალაძია[...]

„ლოკომოტივის“ სპორტულ დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ლენინის სახელობის რაიონის მოსწავლეთა მე-9 სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ველოსპორტი, ცურვა და სროლა. აღნიშნულ სახეობებში მონაწილეობას მიიღებს რაიონის 1.800 ფიზკულტურელი. სპარტაკიადა დაიწყო ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრე-



ბით. პირველი დღის პროგრამაში იყო ვარჯიშები ოსტატთა და ჭაბუკ პირველთანრიგოსანთა პროგრამით.

სპარტაკიადა დამთავრდება 4 მარტს.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის მე-4 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ლ. ჩიხიაშვილი ოსტატთა პროგრამით ასრულებს ვარჯიშს დვირზე.

ფოტო გ. ქიმერიძისა.

რედაქტორი Ი. ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ[...]

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ № 14.

უე 006[...]